

**ეთიკის კომისიის
რეკომენდაცია**

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: მარია არევაძე

კომისიის წევრი: მარინე ცუცქერიძე

კომისიის წევრი: ინგა ნებიერიძე

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.03.2022

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 007/22

I შეკითხვა:

სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე კლიენტ(ებ)ის: სამშენებლო კომპანიის, მისი პარტნიორისა და დირექტორის ინტერესებსა და უფლებებს იცავდა ადვოკატი. ადვოკატსა და კლიენტ(ებ)ს შორის წერილობითი ფორმით შეწყდა ყველა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

სამშენებლო კომპანიისგან ადვოკატის მეუღლეს ნაყიდი აქვს მშენებარე უძრავი ქონება. საკუთრების უფლება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

სამშენებლო კომპანიამ არსებითად დაარღვია აღებული ვალდებულები, რისთვისაც ადვოკატის მეუღლე (ქონების მესაკუთრე) აპირებს მიმართოს სასამართლოსა და შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს, როგორც სამშენებლო კომპანიის, ისე მისი პარტნიორისა და დირექტორის წინააღმდეგ.

შეკითხვა:

აქვს თუ არა ადვოკატს უფლება იყოს თავისი მეუღლის წარმომადგენელი (ადვოკატი) ყოფილი კლიენტ(ებ)ის (სამშენებლო კომპანიის, მისი პარტნიორისა და დირექტორის) წინააღმდეგ, როგორც სასამართლოში, ისე შესაბამის საგამოძიებო ორგანოებში და მონაწილეობა მიიღოს სასამართლო სხდომებსა და საპროცესო მოქმედებებში.

II ანალიზი:

შეკითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური ფაქტები განსახილველია ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხის თავიდან არიდების და კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით.

ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).

ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში: ეთიკის კოდექსი), მუხლი 4).

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1(ა), ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.2)

ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ... (ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.4. (გ))

ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრის ჭრილში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საადვოკატო მომსახურების დაწყების ეტაპიდანვე, ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული პასუხისმგებლობა კლიენტის საქმის მიმართ და ის ვალდებულია შემდგომში პროფესიულ ვალდებულებასთან შეუთავსებელი მოქმედებები არ განახორციელოს.

ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა, მათ შორის კონფიდენციალობის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულება გააჩნია, არა მხოლოდ არსებული, არამედ ყოფილი და პოტენციური კლიენტების მიმართაც, რადგან კონფიდენციალობა არ არის შეზღუდული დროში და არ არის დაკავშირებული ადვოკატ-კლიენტის აქტიურ ურთიერთობასთან (წერილობითი რეკომენდაცია 001/22 25.02.22).

„ზოგ შემთხვევაში, როდესაც კონფლიქტი დაკავშირებულია კონფიდენციალობის ხელყოფასთან ან ნდობის დარღვევასთან, დასაშვებია ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, მაგრამ როდესაც სახეზეა მძაფრად დაპირისპირებული პოზიციები, როგორც აქვთ სასამართლო პროცესში დაპირისპირებულ მხარეებს, ამ შემთხვევაში, დაუშვებელია ადვოკატის მიერ ინფორმირებული თანხმობის მიღების შემთხვევაშიც კი თავისი ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგო წარმომადგენლობა. (ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 016/18 27.05.19).

მითითებული ფაქტებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ ადვოკატის კლიენტი იყო სამშენებლო კომპანია. ადვოკატი კონსულტაციას უწევდა კომპანიის პარტნიორებს და დირექტორს, რაც ეხებოდა სამშენებლო კომპანიის საქმიანობას.

სამშენებლო კომპანიის (მისი პარტნიორების, დირექტორის) საადვოკატო მომსახურების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია (რაც მოიცავს ზეპირი ფორმით, ასევე წერილობითი სახით არსებულ დოკუმენტაციას) არის ადვოკატის პროფესიული საიდუმლოება, რომლის დაცვის ვადაც განუსაზღვრელია და ამ მხრივ, საგამონაკლისო წესი არ არსებობს. შესაბამისად, ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების დაწყებისას უნდა გაითვალისწინოს, ხომ არ უპირისპირდება ყოფილი კლიენტის მიმართ არსებული პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება არსებული კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევას.

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა არსებულ საქმეზე წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს ყოფილი კლიენტის მიმართ. თავისთავად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ კლიენტის მოდავე მხარე მისი ყოფილი კლიენტია, არ არის საქმეზე უარის თქმის საფუძველი, თუმცა ადვოკატმა ყოფილი კლიენტის მიმართ დავაში ჩართვამდე უნდა შეაფასოს საქმის შინაარსიდან გამომდინარე ხომ არ არის სახეზე ინტერესთა კონფლიქტი, მათ შორის მისი წარმოქმნის საფრთხეც. ამერიკის მოდელური წესები (The ABA Model Rules 1.9) უფრო ფართოდ განმარტავს ყოფილი კლიენტის მიმართ არსებულ ეთიკური ვალდებულებას და აღწერს იმ ვალდებულებებს, რაც ადვოკატს აქვს მისი ძველი კლიენტების მიმართ. „მოდელური წესი უკრძალავს ადვოკატს, რომელიც წარმოადგენდა კლიენტს კონკრეტულ დავაში, წარმოადგინოს სხვა კლიენტი არსებითად დაკავშირებულ დავაში, როცა მეორე კლიენტის ინტერესები არსებითად ეწინააღმდეგება ძველი კლიენტისას“ (იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, ჯეიმს მოლიტერნო, გვ.144).

„ინტერესთა კონფლიქტის დროს ადვოკატის მიერ განხორციელებული წარმომადგენლობა წარმოშობს ობიექტურ საფრთხეს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევის თაობაზე ან რისკის ქვეშ აყენებს ადვოკატის მიერ არსებული კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 09.06.2011, საქმე 092/10).

მოცემული ფაქტების საფუძველზე სახეზე არ გვაქვს კლასიკური ინტერესთა კონფლიქტის რომელიმე შემთხვევა, თუმცა ვინაიდან, არსებული დავა ეხება უშუალოდ სამშენებლო კომპანიის, მისი პარტნიორების და დირექტორის საქმიანობას, ასეთი წარმომადგენლობის დაშვება ქმნის საფრთხეს, რომ არსებული დავის ფარგლებში, ერთი მხარის სასარგებლოდ შესაძლოა, გამოყენებულ იქნას სამშენებლო კომპანიისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

კერძოდ, ადვოკატი თავდაპირველი საადვოკატო მომსახურების გაწევის ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა, ფლობდეს ისეთ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც არსებული საქმის წარმოების ფარგლებში საფრთხე შეექმნება. თავისთავად, ადვოკატმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა შეაფასოს მსგავს შემთხვევებში ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე იარსებებს თუ არა, ვინაიდან, ის ფლობს დეტალურ ინფორმაციას მის მიერ ნაწარმოებ საქმეებზე და ყველაზე უკეთ ის შეაფასებს ხომ არ ექმნება საფრთხე ამგვარი წარმომადგენლობით

ყოფილი კლიენტისგან მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას. კერძოდ, რამდენად შეიძლება უპირისპირდებოდეს საქმეები ერთმანეთს.

ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოქმნის საფრთხის გამომრიცხავი გარემოება ვერ იქნება ის ფაქტი, რომ ადვოკატმა უნდა წარმოადგინოს მეუღლის ინტერესები და ადვოკატისთვის მიმდინარე საქმის წარმოება შესაძლოა, „მისი პირადი ინტერესი იყოს“. ადვოკატმა მეუღლის ინტერესის წარმოდგენის დროსაც უნდა იმოქმედოს ეთიკური სტანდარტების დაცვით, რაც თავისთავად, ყოფილი კლიენტის წინაშე არსებული ეთიკური ვალდებულების - კონფიდენციალობის პრინციპის დაცვასაც გულისხმობს, რაც ვერ იქნება უზრუნველყოფილი, თუ ადვოკატი ამ საქმეში მისი მეუღლის წარმომადგენლად ჩაერთვება. კომპანიისთვის გაწეული საადვოკატო მომსახურების გათვალისწინებით მეუღლის დავაში წარმომადგენლად ჩართვა საფრთხეს შეუქმნის კომპანიის, როგორც ყოფილი კლიენტისგან მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას.

III დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს მოუწევს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ მეუღლის წარმომადგენლობა დაკავშირებულ საქმეზე, საფრთხე შეექმნება ყოფილი კლიენტისგან მიღებულ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას მეუღლის, როგორც ადვოკატის კლიენტის საქმის სასარგებლოდ, რაც ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხეს ქმნის. ის გარემოება, რომ ადვოკატი მეუღლეს უწევს წარმომადგენლობას, არ არის ეთიკური სტანდარტის დაცვის თავიდან არიდების საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ საქმე ოჯახის წევრის ინტერესის დაცვას უკავშირდება. იმ შემთხვევაში, თუ დავა შეეხებოდა არა მეუღლის სახელზე რეგისტრირებულ ქონებას, არამედ ადვოკატის პირად ქონებას, შესაძლებელი იქნებოდა ადვოკატს დაეცვა თავისი ინტერესები პირად საქმეზე და ეწარმოებინა საქმე ყოფილი კლიენტის მიმართ.

შენიშვნა: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე

/მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი

/მარინე ცუცქერიძე/

კოლეგიის წევრი

/ინგა ნებიერიძე/